



224
24



ნაპეღული

32

საქმავილთ

მუხნალი

მკირე ქლოვანთაივის.



ახრილი № 7. 1915 წ.

ბავშვების საქართველო

წელიწადი მ-ქ.

№ 7

აპრილი, 1915 წ.

კ. 24
მ. 1



მ. 41

აბა, ვინ უფრო ღონიერია!



შ ი ნ ა ა რ ს ი:

- I—აბა ვინ უფრო ღონიერია!—სურათი ელისიფისა 1
- II—ნაკადულის მკითხველები:—1, თამარ მერკვილაძე—თბილისი,
2, შუშანიკა ხუნდაძე—ოზურგეთი, 3 და 4, ელენე და სოფიო
დავითაშვილები—თბილისი 3
- III—აკაკის ხსოვნას,—ლექსი არჩილ იანქოშვილისა 4
- IV—სააღდგომო სიზმარი,—გიგო ნათაძისა 5
- V—პატარა ზუროები,—ლექსი სავლე აბულაძისა 12
- VI—ცალი ყბით დაპატიება,—ეხტანგ ფხალაძისა 14
- VII—დამეხმარე არჩევანში,—გარიყულისა 16
- VIII—ცხოველთა ზრუნვა შვილებისათვის,—(დასასრული, თარგმანი)
იასე რაჭველისა 18
- IX—წერილები რედაქციის მიმართ 23
- X—გასართობი—რებუსები, გამოცანა და აღსნა 24

„სადღესასწაულები“



მკითხველები



იაკის მუხლზე უჩაის
 ფატი გოკიფლი.

იაკის ხსოვნას

საქართველოს კეკელუც მხარეს
 ლაქუბარდ ცა'სე სსივი გაქრა;
 მოციმციძე ვარსკვლავთ დედაც
 მიიძალა, ხაჭქრა, ხაჭქრა;

და ბულბულმაც შეანერა
 შაქრიანი, ტკბილი ენა;
 ძირს ხაჭქინდრა ნახად თავი,—
 დაივიწყა უცბად ლხენა,

გლოვობს მთა-ტყე, მინდორ-ველი,
 გლოვობს, სტირის არე-მარე;
 გაჭქრა, ჩვენთვის აღარ ნათობს
 აღარც მსე და აღარც მოვარე.

ძორს განსძის ოხერა, კენესა,
 და საძმობლოც ცრემლში სცურავს;
 ესტირით ეფელა, და ეს გული
 შეჯაკაშის დაუსურავს.

მაგრამ იგი არ მოკვდება:
 ზეცას ავა იმის სული,
 და კვლავ თვის ერს ანუკემებს,
 გულში ხატად ჩასახული.

არჩილ იანქოშვილი.





სააღგომო სიზმარი



— ედა, დედა! ჩვენი ბაღის კვერდზე ისეთი მშვენიერი ბაღასი ამოსულა, ისეთი, რომ... — შორიდანვე დაივირობ ვანომ, აივნისზე ამოიბინა და მოესვია დედან მუსლებზე.

— დაიცა, შვილო, დაიცა: კვერცხის ცილა არ დამაღვრე-ვინო, — დაუევაკა დედამ, რომელიც სააღგომოდ ტკბილეულო-ბისათვის კვერცხსა თქვეუვდა.

— იცი, დედა? — ტუჩი ჩამოუშვა ვანომ და ღოეებზე აღ-მური გაუეითრდა, — მარმან რომ აღის ფერი ევაკილი დავთესე, ჯერ კოკრები არ უჩანს.

— თავისი მიწა უნდა მოგეოლებინა, შვილო. უცხო ნია-დაკში ესეთი ნაზი ევაკილი ვერ იხარებს.

— ჩემი ბატკანი სად არის? უნდა ბაღასი ვაჭამო. — ვანომ მიიხედა-მოიხედა: — სად არის დედა ბატკანი.

უცებ შეკრთა. შეფიქრიანდა. გულმა ბაკი-ბუკი დაუწყო.

— დღეს იმის ხმა არ გამიგონია.

— შედუქნე საქრომ წაიუვანა, შვილო: ბაღასს მოვამოგე-ბინებო.

— სომ არ დაკალით, დედა?

დედამ თავი დაღუნა და კვერცხს თქვეფა დაუწყო.

— ნამდვილად დაკლახდით! — აღმური მოედო ვანოს სახეს. მერე გაფითრდა. — ვაიძე, ჩემო ბეკეკავუ!.. შენ არ დამწირდი — არ დაკვლავთო? რათ დაკალით? რათა? — საწყალი ბეკეკა! არ მინდა იმისი სორცი, არ ვჭამ. სურც თქვენა სჭამთ. ჩემო ბეკეკავუ, ჩემო თეთრო, ჩემო სუტუჭავუ! — რათ დაკალით, დედა, რათა? უჰ, ის ბოროტი საჭრო! როგორ გაიძევა იმისთანა ბატკანი... როგორ შეძეხვია! რათ მოვიძორე.

ვანოს გული ამოუჯდა. ცხარე ქვითინი დაიწყო.

დედამ კვერცხის თქვეფას თავი დაანება, ვანოს ხელი მოჰხვია, გულსე მიიკრა და აღერსი დაუწყო.

— სუ ტირი, შვილო, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო. იესო ქრისტეს თვითონ მოუცია ადამიანისათვის ბატკანი საჭმელად და უბძანებია, — საადღგომოდ დაკალით სოღყო. ანგელოსით წმინდა ცხოველი რომ არის, იმიტომ ამოურჩევია. ახლა აღდგომა ღამეს ის ბატკანი იესო ქრისტესთან წავა ჩვენთვის-კი არ დაკვლით, — იესო ქრისტეს შევწირეთ. ამაღამ იესო ქრისტე ჩამოივლის კარ-და-კარ და საცა ამისთანა ბატკანს ნახავს დაკლულს, იტევის, ესენი ჩემი სარწმუნოების მიმდევარნი უოფილანო, და ზირჯვარს გადასწერს სახლს; ბატკნის სულს-კი თან წაიუვანს.

— მე-კი მინდოდა აღისფერი უკავილის კონა დამეწნა და ჩემი ბატკნისთვის ჩამომეკიდა კისერსე, — სთქვა სლოკინით ვანომ და დედან კალთაში ჩაუდვა თავი.

დიღხანს იტირა ვანომ და ტირილით მოქანცულს მიემინა. დედამ ფრთხილად აიუვანა ბავშვი, ცხნადა და ლოგინში მიავწვინა. სძინავს ვანოს...

—

აღდგომა ღამეა. ვანო გარედ გამოვიდა. ჩამი — სუმი არსად ინძის. ბუნებაც დიდებულ დღესასწაულისთვის ემზადება. ვა-

ნომ შთის ქედისკენ გაიხედა. შთის ძირში, შორს, შორს მტკვარი
 კალესილ ხმლის ზირივით ბრწყინავდა.

მტკვრის კადაღმა, ამ შთის წვერზე ვარსკვლავი უნდა
 გამოჩნდეს, ქრისტე რომ აღდგება.

აკერ ხრო-ზარიასავით სინათლეს გამოჩნდა. ღმერთო, რა
 ღამასი სინათლეა. სხვა-ღამასზეა უფრად ანათებს ვარსკვლავი.
 აკერ ლურჯი, ახლა წითელი, ახლა მწვანე. სულ უფრად-
 უფრადი სახეები იხატება. ღმერთო — რა ღამასია! არც ისე
 შორს არის: ერთ მინდორს გაივლის ვანო და მერე შთანხ
 ავა, და ვარსკვლავი იქვე არის. მაგრამ მტკვარი? მტკვარში
 როგორღა კავიდეხ ვანო! თუძცა... არც ეს არის ძნელი. სოფ-
 ლის ზირდაზირ მტკვრის ზირას ბორანი აქვს ერთ მოხუცს.
 ხალხი იმ ბორანით კადადის ხოლმე.

ვანო გზას გაუდგა. ვარსკვლავს თვალს არ აშორებს. ღმერ-
 თო, რა ახლოა! შთის წვერი სწორედ კვარცხსა ჰკავს. იქი-
 დან ანათებს ვარსკვლავი. თითქმის გაიარა მინდორი. მტკვრის
 ზირად ატესილი ჭაღაა. ჩამოჩუმი არსაიდან ისმის. მხოლოდ
 დრო-გამოშვებით საიდუმლოდ დაიძრიალებს ფოთოლი. აი,
 მტკვრის მხუილიც ისმის.

ვანო შიადგა წულის ზირს... მაგრამ... ეს რა არის? ეს
 მტკვარი-კი არა, — ზღვაა. ზატარა ხანს უკან უხუმრად სომალდი
 შიადგა ნაზირს. ზედ ორი ღამაზარია. ერთი-ლურჯი, და მუორე-
 წითელი. სომალდზე არავინ არის... მაგრამ არა: აკერ თეთრ-
 წვერა მოხუცი სინხელეში ძლივს გამოირკვა. ჩამოვიდა...
 ვანოს მიუბღერსა. სომალდზე აივანა. სომალდი დაიძრა.
 ტალღა დინჯად სჩქეფს. სომალდი აშობს ზღვის ტალღებს.

ვარსკვლავი ისევ ანათებს, ხან წითლად, ხან ლურჯად,
 ხან მწვანედ. სინათლე უფრო ძლიერდება და ზღვის ზირზე
 სტოვებს განათებულ გზას, ნაზირიდან სომალდაძმის.



— მე მიგიყვან, შეილა, იქ, სადაც მიდისარ, — ამბობს კეთილი მოხუცი.

რა ვქნა? თითქოს ვანოს ეცნობა ეს მოხუცი. სოფლელ მოხუცს არ ჰგებენ. რაღაც ნათელი ადგია თავსე. ამ ნაპირთან მისვლა, მართალია, მწელია.

— ამ ვარსკვლავს, შენ რომ ჰხედავ, ბევრი ვერ ნახავს, მაგრამ შენ სხვა ხარ: შენ შენი ბატკანით წმინდა ხარ. ამიტომ მიგიყვან ნაპირსე. იქ გ'ხსნე და გაეყენებ. მერე იმ გ'ხას დაადგები; ივლი-ივლი, სულ აღმართ-აღმართ, და მისვალ, სადაც მიდისარ.

ტალღა სჩქეფს. ხომალდი ნაპირს მიუახლოვდა. ვარსკვლავი მთას მიეუბრა. ბნელაში ძლივს სჩანს კლდიანი ნაპირი. ხომალდი ფრთხილად უვლის გარშემო კლდეებს. აი, მიადგენ ნაპირს. ვანო ხომალდიდან გადმოვიდა; მოხუცმა გ'სა უჩვენა, ალერსიანად სელი ვადუსვა და გამოეთხოვა.

ვანო გ'ხას გაუდგა. მიდის. ბნელა. ტყე ზირქუშად გამოიურება. ვანოს გულს ბაგა-ბუვი გააქვს. აგერ გ'ხის ზირას ვიღაც გადაელობა. ეს მუსაა, საშინელი დიდი, ზირქუში, კოპებ-შეკრული მუსა. ტოტები ჯირკვივითა აქვს. სქელი, სახიანი ფოთოლი. ისე ლაპარაკობს, თითქოს სჩქესო.

— ამას იქით წასვლა არ შეიძლება. რამ მოგიყვანა აქ? ვინა ხარ?

ვანოს თვალსე ცრემლები მოადგა. უნდა უთხრას, მე ეგრე მკაცრად ნუ შელბაპარაკები, მე ზატარა ვარო, ბატკანს ვეძებო, მაგრამ ენა არ ემორჩილება.

სიჩუმეა. ჩუ! ბატკანის ბღავილი მოისმა. აგერ-აგერ თეთრად გამოჩნდა მისი სუჭუჭა ბეწვი.

— ეს ვანოა, ჩემი მეგობარი. გამოუშვი.

მუსა ოდნავ შეიძმუნა. შუბლი გადაიხსნა. სიამოვნების შრიალი გაისმა. მიდის ვანო და წინ კუნტრუშით უძღვის ბატკანი.

მიდიან. ტყე გაიარეს. აგერ მთის წვერიც. ბნელაში ნახს მისი კვერცხის მზგავსი თავი, მწვანე ბაღასით დაფენილი. მაგრამ ვარსკვლავი რაღა იქნა?

ვანომ მიინგდომოიხედა. გარშემო წველიაღია. აგერ მარჯვნივ თითქოს რაღაც გამოჩნდა. რაღაც შენობაა. ფანჯრები ოდნავ განათებულია.

აღბად ეს იყო, რომ ვანოს შორიდან ვარსკვლავად მოეჩვენა. ვანომ გასწია: ამ სახლისაკენ. ბატკანი აღარსად სჩანდა. აღბად, ბაღასის სამოვრად წავიდა. მიადგა ვანო სახლს, და ჰსუდავს, მის გარშემო მინდორი სულ აღისფერი ევაფილებით არის დაფენილი.

— აღისფერი ევაფილები! ღმერთო, რამდენია! დავერიო? ჩემ ბატკანს გვირგვინს დაუწნაჲ.

დაჭკრიფა ვანომ ევაფილები, მაგრამ რა ნახა? რამდენსაც მოსწეპტს, ფერი ეცვლება; მერე დაიფურცლება, იზწვა. ასე ჭკრიფა ევაფილი ვანომ დიდხანს. ბოლოს მოეწინა და გაასყენდა დედის სიტყვა:—ნიადაგს არ უნდა მოაშორრო.

— აღბად იმისი შესაფერი ნიადაგი იქ დაბლა არის,— გაიფიქრა.

დაიღალა ვანო. შესედა ისევ ნისლს. რატომ სძაურობა არ არის იქ? რატომ მზადება არ არის? ხომ ძაღე აღდგომა დადგება. სულ ცოტა დრო დარჩა აღდგომაძმის. მაგრამ აღბად



უცებ განათდება იქაურობა. ვანომ ნელ-ნელა სასლისაკენ გასწია. კარებში შეიხედა. ვეებურთულა დარბაზია. სხვილი მარმარილოს სვეტები თაღებით. შიგ აზავინ არის. სინათლე მკრთალად ეუყინება. შუაში მაგიდა სდგას. ვანო იცქირებდა აქეთ-იქით, რომ ვინმე დაინახოს; მაგრამ ამოდა. ერთი ნაბიჯი შიგ შედგა ვანომ და გაჩერდა ერთ ალაგას. ისევ სიჩუმეა. ჰატარა ხანს უკან მარცხენა კარი დინჯად გაიღო და იქითა ოთახიდან წუნარად გამოვიდა ვიღაც ქალი. მხრებზე წამოსასხამი ჭქონდა წამოსხმული. თავი დაღუნა. მივიდა ისევე წუნარად მაგიდასთან, ჩამოჯდა და ზის უძრავად. ვანო უურადლებით უცქერის ქალს.

— ვინ არის, ნეტა? რატომ სძახ არ იღებს? თითქოს დედასა ჭკავს. დედა, დედა!—ვანოს უნდა გაექანოს, კალთაში თავი ჩაუღოს, მუსლები დაუკოცნოს, მაგრამ... უცებ რაღაც შიშის წარმა შეიჭერო. დედამ არ მოიხედა, თითქოს ვანო ვერც-კი შეამჩნია; სინათლისაკენ-კი მოიხედა. საშინელი, გაშეშებული, უძომრავო სახე ჭქონდა...

— შინ მინდა... დედა!—ერთი-კი დაიუვირა ვანომ და თვალები ღია დარჩა.

— თავსე დედა დანცქეროდა.

— ქრისტე აღსდგა, შვილო, — უთხრა ვანოს, თვალები გახსილბა თუ არა, და ჩაჭკოცნა. — ადე შვილო, ახალი ტანისამოსი ჩაიცვი. აბა, გაიხედე რა საამურად ანათებს ძვე. აღდგომადლე ვათენდა კიდევ. ადე, ჩაიცვი, ზირი დაიბანე. წადი ამხანაგებთან და კვერცხები დაუკარი. ადე, შვილო, გენაცვალოს დედა შენი.

ვანო გარინდებული იჯდა და ვერა მოესაზრა რა.

ეს ხომ სიზმარი იყო, — იუქრა ბოლოს და სახე ვარდივით გადაეშალა.

— ცუდი სიზმარი ვნახე, დედა.

— ვნომ გაიღვიძა? მოისმა აივნებიან თამროს სმა და
 თთახში შემოვარდა ვნოს უფროსი და.

— ვანო, ვანო! ადე, გენაცვალე, ადე. ქრისტე აღსდგა!—
 მმა გადნჭკოცნა.


— ადე, წამო ბადში, რა გახვეწო! შენ რომ აღისფერი უვა-
 ვილი გადარგე შარშან, კოკორი გამოუტანია, კოკორი. ერთი-
 კი არა,—ბევრი. ერთი გაძლხსაც ბიორებს. ადე, წამო—ვნახოთ;
 ადე, გენაცვალე.

ვნოს თვალები გაუბრწეინდა. მაშინვე ჩაცმა დაიწყო.

გარედან მხიარული ხარის რეკა ისმოდა.

გიგო ნათაძე.





პატარა სურობი



რთხელ ჩვენმა დათიკობა
სათამაშო ააშენა,
ოთახებდა დააწყო და
სასურავით დაამშვენა.

ბავშვებმა რო თვალი მოჭკრეს
ამას—ნიკომ და კეკელამ,
სთქვეს:—მოდო, ჩვენც ავაშენოთ,
არ გვაჯობოს დათიკელამ!

შეესივნენ სასიძინდეს,
გადმოუარეს ტარობი;
მოუსხდნენ და ფუხნიან სიძინდს
მოძავალი სურობი.

დაამზადეს ნაქურჩლები,
გაჭკრეს, გაჭკრეს ტაროს ხელი;
კეკემ ერთად შეკრიფა და
ნიკომ გასკენა სამირკველი.

შუამდის რო მიიუვანა
და სარკმლებიც დაატანა,
აქ ჩაკირკიმღლებულმა
კეკემ ეჭვი შეიტანა.

გამოუკერ უცბად სელი
ერთიანად დაუნგრია.
ნიკომ დიდად მოითმინა,
ცრემლები არ დაუღვრია.

მოისმინა კეკეს რჩევა
და დაუთმო ზირველობა,
მაგრამ კლანად იბღვირება
და არ მოსწონს დის ხელობა.

კედლები რო მობათვა
და სახურავს მიჰყო სელი,
ნიკომ შარი მოსდო და
გამობძრო საძირკველი.


იხრიალა სუსულამა...
მოუვიდა გული კეკეს,
და ბაფუებმა გულიანად
ერთმანეთი მიძიბეგვეს.

ასლა ნიკო გასუროვდა,
იღალემა, შრომობს, აზრობს,
მაგრამ კეკე არ იხვენებს
და ნაქურბლებს კიდევ აძრობს.

ნიკოც უხდის სესხსა და ვალს,
ჯარასავით ტრიალებენ;
და რაც იმათ გააკეთონ,
მე ნუ გამიზიარებენ.

სავლე აბულაძე





ცალი ყვით ღაკატიყუბა



ღღგომის წინა ღღეს გღესი დათია ღიდ
სამზადისში იყო, რადგანაც მეორე ღღეს
წვეულებას მართავდა და თავის ნაცნობ-მეზობელ გღესებს
ეპატიყებოდა.

დათიას ახლოს მეზობლად სცხოვრობდა ერთი გღესი
ანდრია, რომლის დაპატიყება დათიას არც ძალიან ეპიტნავე-
ბოდა. სამეკიეროდ ცოლმა მოიწადინა ანდრიას დაპატიყება
და სთხოვა ქმარს:

— კაცო, რომ არ დაჰპატიყო—არ იქნება: გული დას-
წუდება და დაგვეძღურებაო.

დათიამ დაუჯერა ცოლს: დაუძახა თავის პატარა შვილს
და უთხრა, რომ წასულიყო ანდრიასთან დასაპატიყებლად, და
თან დაატანა:—ძალიან კი არ დაუწყო სვეწნა.—ცალი ყვით
დაჰპატიყო.

დათიას შვილმა დაისხოვნა მამის სიტყვები და გაიქცა
ანდრიასთან.

ანდრია ამ დროს კარში იღვა. პატარა მოციქული მივიდა
მასთან და უთხრა:

— მამა ჩემმა შემოკითვალათ, — სვალ გვეწვიეთო; — თან ცალი უბა შიბორუნა განსე, თურმე ასე გაიგო მამის ნათქვამი „ცალი უბით დაპატრიქო“, და უსერსულად დაუწყო ლაპარაკი.

ანდრიამ ეს შეაძწნია და ჰკითხა:


— ქავან! რატომ სწორად არ დადგები და არ გამაგებინებ, რის თქმა გინდაო?

ბავშმა გაიცინა და მიუკო:

— მე რა ვქნა, — მამამ მითხრა, ცალი უბით დაპატრიქო, და მეც ვასრულებ იმის თსოვნასაო.


ვახტანგ ფხალაძე





ღამესმარი არჩევანში

ძმაო რევას!



ენ არ იცნობ ჩვენ შურთან?

საკვირველია!

შურია მეტად თეთრი და სუფთა ძაღლია, და რად უწოდებიათ სახელად შურია? თითქოს სასუ გამურული ჭქონდეს, მაგრამ, შენ არ მოძიკვდე, შურია გამურულ ქვაბისკენ ერთხელაც არ წაიღოს ცხვირი.

სანამ თეფშზე არ დაუსხამენ თავის კერძს, ზედაც არ შესუდავს საჭმელს.

ჰო, და სწორედ ეს შურია ერთი კვირაა, რაც გაჩნდა ჩვენს ოჯახში. ძაღლი არ გვევადა,—მთელი საფხული ისე გაგატარეთ; საშინელ მოწუენილობას ვგრძნობდი.

სომ იცი—მე როგორ მიუვარს ძაღლები და მეგობარი ვარ მათი; და აბა შენ იფიქრე უაძლეობა, ისიც სოფელში ვურაფერი მოსაწონია.

მენ ჩემი საუვარელი ძარსიკი ჯერ სამთარძივე მოძვედარსიკო.
 „გეწეინებოდათ, ვიცოდი, და ამიტომ არ მოგვერეთო,“ — ვკო-
 თსრა ბაბუამ. მთელი ზაფხული ერუდ გავატარეთ. სოფლის
 ამბავი სომ იცი: ძაღლის ეეფა, საქონლის ბღავილი და ქათ-
 მის კრიახი თუ აასძაურებს, თორემ ისე მიწუმებუღია ეეფ-
 ლაფერი.

კვირა დიღით რომ გამოვედი და მურია სამზარეულოს
 სვეტზე დამხვდა მიბმული, ძალიან გამეხარდა. ერთი ორი კი
 შამომეეფა. ახლა არ იკითხავ—რა სმა აქვს? ბოსი, სასია-
 ძოვხო: მთელ სოფელში ისძის იძისი ეეფა. სულ ცოტა ხა-
 ნი, და დაეშეგობრდით.

ორი დღე იყო დაბმული; მერე აუშვით. მთელ ეზოს
 უკლის, მწეემსავს: ჩიტსაც კი არ ააფრენს ღობესე. დიდება
 შენთვის, ღმერთო! რომ იტყვიან—ეოველ გლახას დიდი გული
 აქვსო, ისე სჭირს ჩვენ კატას. ეს საცოდავი, თქმო მოქცეული,
 ერთი სიტყვით—ღუთის გლახა აუტუდა ამ ვეშანივით ძაღლს.
 „ფთხრრ... ფთხრრ... იბერება, ეცემა სასეში.“ მაგრამ ჯერ
 სასამ მურიასა და იძის განწუობილებას ავიწერდე, მოკლედ
 გეტყვი ამ საცოდავ კატუნის ამბავს.

შენ წარმოიდგინე—კატაც-კი არ ჭეუვდა ბეზიას. ექვის
 თვის წინად სწორეთ ამ კატისთვის მდუღარე წეული დაესხა
 მოსამსახურეს. რასაკვირველია—ძისი მსუნაგობისთვის. ციცა-
 გადაკარგულა სადღაც. იმ დღიდან ბეზიანემს სწვევა სასლ-
 ში კუთხის სტუმრები—ბაცაცა თაგები, და შენს მტერს—იმ
 გულ-გასაწეალებებს ბეზიასთვის გული გაუწეალებიათ: კოკებ-
 ში—თხილი, კატესილ ქვერებში—კაბალი, კოდებში—ფქვილი,
 სკივრებში—ჩურჩხელა, ტბილი—კვერი, ქიღებში—მურაბა და
 ერთო სულ ერთიან გადმოუქითებიათ. ბეზიამ შიამხო: თერძე
 იმდენად კათამძენს, რაკი დარწმუნდენს, რომ მათი მტერი
 არავინ იყო, მთელ ოჯახში შიშიც არავისი ჭქონდათ: ღამით

გამოაკორებდნენ ნიგვსის კაკლებს და, როგორც მე და მგნ
 ვიცოდით ხოლმე კაჭობა, ისე
 აკაჭავებდნენ იატაკზე.

ბებიას, ან ბაბუას ვინ ერო
 დება. ბებია ხან ერთ მოსამსა-
 სურეს სტუქსავს, ხან შეორეს:
 კატა რად დამიწვით და გამიქცო-
 ეთო; მაგრამ საქმეს ამით მანც
 არა ეშველარა. ბევრჯელ მოუ-
 ევანიათ თურმე შორეულ ნათუ-
 სადგომისაგან ტომარაში ჩასმული
 კატა, შეუმწევედვით ბელელში, თუ სულაში, დაუსურავთ კარე-
 ბი, მაგრამ, როცა ვინმე გააღებდა კარს, ციცაც უშველიდა თურ-
 მე თავს და გარბოდა.



ასე იყო ჩვენ ჩამოსვლამდის. ჩვენ რო მოვედით, ერთი
 კვირის შემდეგ, ვნახეთ—ფანჯარასე შემოსტა ჩვენი ძველი
 კატა. საცოდავი ისე გამხდარიყო, ისე, რომ შეგვეცოდებოდა.

იქნება ჩვენი ჩამოსვლა გავიო; იმედი მოეცა—ისინი და-
 მიფარავენო, და ამიტომ მოვიდა?

ვინ იცის: ასე იყო, თუ ისე, ეს-კი ნამდვილია, რომ
 მოვიდა და შემოგვეჩავლა.

—საცოდავი ჩემი კატა, ჩემი კატა!—დაიძახა ბებიაშ. მ-
 შინვე იცნო. სათვალევები მოიხსნა, განსე გადახდო, წინდის
 თვლებსაც ანება თავი, იქვე შიბგლო და სწრაფად წამოსტა.

—ციფ, ციფ, ციფ...—დაუძახა.

ციცამ კუდი დაივრინა, ჩამოსტა, ტახტს გავერა, კრუტუ-
 ნი ამოუშვა და ბებიასაკენ გაიქცა, რომელმაც ამ დროს შემო-
 უტანა ჭელინტი¹⁾ ეველი.

ის იყო და ის—ციცა გაჩნდა, და თავგებიც გაძვირდა.

(დასასრული იქნება)

8. გარიყული

¹⁾ ახალი ყველი უმარილო.



ცხოველითა ზრუნვა შვილებისათვის

(დასასრული *)



შირად ცხოველები იძულებულნი არიან ბუდე-
ბინის საჭიროებისათვის ეოველნაირი მასალა
იხმარონ. ხანდისხანაკი, კარგი მასალის უქონ-
ლობის გამო, რაც შესვდებათ, იმას სჯერდებიან
ხოლმე.

შვიდროდ დასახლებულ ქალაქ ღონდონში, სადაც თვით
აღამიანსაც უჭირს შესაფერი ბინის შოვნა, მტრედები ბუდეს
სახლის თავზე, გაშლილ ცის ქვეშ აკეთებენ; დიდი ცდა და ხერ-
სი სჭირდებათ, რომ დაიფარონ იგი წვიმისა და სხვა სახიბ-
ნო მოვლენებისაგან. ამიტომაც ეოველ ღონეს ხმარობენ, და-
გოგავენ ქუხიდან ქუხასე და რაც მოხვდებათ—ეველაფერს მია-
ქნებენ საბუდარისკენ. რა და რას არ ნახავთ მათ ბუდეებში:
ტყავის ნაგლეჯებს, საათის ძეწკვის ნაწილებს, ფოთლებს,
ქაღალდის ნაჭრებს, ხელთათმანის ნაწიევერებს და სხვ... ბუდე-
კი მანც ისე აქვთ მოწყობილი, რომ ის დაცულია, როგორც
წვიმისა, ისე სხვა მოსალოდნელ განსაცდელისაგან, რამდენა-
თაცაკი შესაძლებელია.

*) იხილე „ნაკადული“, № 6.

უნახავთ ასეთი შემთხვევაც: ეორანს მიუგოწიწებია ბუდე სახლის სახურავის სულ განაწირა კიდევ, და იმისთვის, რომ მახე სელი არ შეჭებოდა, გარეშეშეშე შუშის ნატეხებით შემოეწლუდა.

საზოგადოდ ეველა იმ ქალაქებში, სადაც შუშა სელი მეტად ბევრია, ჩიტებს ძლიერ უწირთ ცსოვრება. სმირად, როდესაც კალატოხები ძველ სახლს ანგრევენ ხოლმე, ზოულობენ ჩიტების ბუდეს, შემოწლუდულს ბწრებით წვრებით, რკინის მავთულებით და სხვა...

შვეიცარიბში ვიდაც შესათის გვერდით სახლი დაუნგრევაით და აღმოჩენილა, რომ ჩიტებს უსარკებლიათ საათის სხვადასხვა ნაწილებით, შუშებით, ისრებით და სხვა...

ისეთ ქალაქებში, სადაც სწავლა-განათლება მეტად არის განვითარებული, როგორც, მაგალითად,—ლონდონი, ბერლინი და ჰარისია, ჩიტებს ძლიერ უწირთ ცსოვრება. იქ ქუჩები დღეში ორ-სამჯერ იკვებორეცხება; ვერსად ვერ ნახავთ ვერც ტალახს და ვერც სხვა რამ მასალას, რომ ჩიტმა ბუდისთვის გამოიყენოს. ამიტომ ასეთ ქალაქებში ჩიტები გაუცაცვებით შეჭეურებენ სახლების სარკმლებს და ქუჩაში მოსეირნე შდიდრებს: ეგებ ან სარკმლიდან ევაგილების ფურცლები, ბუშბული, ქალაღის ნაწერი, ან ქუჩაში ვისმე სელთათმანი, ცსვირსახოცი, ან სხვა რამ დაუვარდეთ, რომ ჩიტმა მაშინვე ეცეს და გაიტაცოს. ეძებენ აგრეოვე ტუავის ნაწრებს, ჰანროსის ნამწვავეებს და სხვა...

მაგალითად—მერცხალი, ეს საფხულის მასარბელი, დაჭქრის ქალაქის ეველა კუთხეში, მდინარეთა ნაწირებზე, ქუჩის მიღებთან... ეგებ სადმე ტალახს, ან სხვა რამ მასალას წააწუდეს; მაგრამ ამაოდ: ის აწუდება, და ისიც იშვიათად, ეტლის ღერძზე საცხების ჰატარ თენტს და ამით ემეოფილება.

ბედურა და სკვინჩები?—ეს ჰაწაწინა, ძალხაზი, მშვენიერი და სასარგებლო ჩიტუნები, რომელთა რიცხვი დიდია ევროპის ქალაქებში, ისე დაგოგავენ ბაღებში, რომ მათსავით უძნაკო ბავშვებში არიან არეულნი: ზოგს თავსე, ზოგს მხარსე, და ზოგსაკი ხელსე უზიან და საკენკს სჭამენ სოლმე. ეველა ბავშვა იცის, რომ ეს ღამაში ჩიტები შეტად სასარგებლონიც არიან: ისინი სწობენ ეოველხაირ მავნე მწერებს, რომლებიც შეტად მასარაღებელნი არიან ბაღ-ბაღის მცენარეებისა, და არავენ ხელს არ ახლებს, არც შეაწუსებს ამ ჩიტებს.



პარიზის ბაღში მოშინაურებული ბედურები.

ძთელი დღე დაფრინავენ ეს ცქვიტ-ცქვიტი ჩიტუნები დაეპებენ მასალას ბუდისათვის—ბუმბლსა და თივას, და მის ადგილას-კი, ისიც შეტად ძხელად, ჰოულობენ ქაღალდის ნაკუწს, ჩვარის ნაკლეჯს და, რაკი შეტი ვსა არ არის,—ამით კმაყოფილდებიან.


დიაღ, ასეთია ბუნებრივი მიდრეკილება ცხოველებში. ეოლივე ცხოველი განკებას მზრუნველობის დიდი ნიჭით დაუვიდლოვებია და თავისი ღირსება—ნაკლულეგანებისა დაგვარად ვაღდებული გაუსდია მოუაროს და აღზარდოს შვილები.

ეს არის მისი, მისგან დამოუკიდებელი, თანდაყოლილი თვისება. ამიტომაც არის, რომ ცხოველები ვერავითარ ძალღონეს ვერ დაზოგვენ და არც ზოგვენ იმისათვის, რომ ეს მათი ბუნებრივი მშობლიური მოვალეობა ზირნათლად შეასრულონ.

მთელი ქვეყანა რომ მოიაროთ, ეოველებს, ეველა ცხოველთა შორის შეხედებით მშობლიური მსრუნველობის უტეუარ ნიშნებს,—დაწეებული მხეცთა მეფის ღომისა და ფრინველთა მეფე არწივიდან, სულ უბრალო და უმნიშვნელო ცხოველბმდე.

იხე რავეელი.





წერილები რედაქციის მიმართ.

I

ქ-ნო რედაქტორო!

ვიკვანით სამ მანეთს და სამ აბაზს, ჩემ მიერ შეგროვილს ბავშვებში, აკაკის სეზირ-სიტუვიერების ფონდისთვის. გთხოვთ შემომწირველთა სიაც დაგვიბეჭდოთ.

- 1) სოსო ჩიჩუა 30 კ., 2) ალექსანდრე კალანდაძე 30 კ.,
- 3) შოთა თავართქილაძე 20 კ., 4) ვლადიმერ და შუმანიკა დოლიძენი 20 კ., 5) კვატერინა მადვლარია 20 კ., 6) რო-
მანოზ შაქარბეგილი 20 კან., 7) კოლია ივანოვი 20 კან.,
- 8) კობა და ვახუშტი მეგრელიძეები 20 კან., 9) ოლიგო
არეშიძე 20 კ., 10) სანა გეგეძე 40 კ., 11) მამო მესხი 30 კ.,
- 12) გოგუცა დოლიძე 10 კ., 13) ტარასი წულაძე 15 კ.,
- 14) ქეთო სისარულიძე 10 კ., 15) ბეკან და კავო ბილისო-
ძენი 15 კ., 16) გალაქტიონ ცინცაძე 10 კ.

მეორე კლასის მოწაფე **სიმონ დოლიძე.**

II

ქ-ნო რედაქტორო!

მე და ჩემი პატარა ძმა მისაკო მოწამენი ვართ აჭარლე-
ბის აწიოკებისა. ჩვენ ბევრჯერ ვნახეთ ისინი ბათუმის ქუ-
ჩებზე ტიტველნი და ფეს-შიძველნი და ძალიან შეგვეცოდა, მაგ-
რამ ძარტო ჩვენ რას უძველიდით; ამიტომ გვსურს, რომ ვეუ-



ლა „ნაკადული“ მკითხველებმა იცოდნენ, თუ რა გაჭირვებაში არიან საწყვადი ჩვენი მოძვე აჭარლები, და ვისაც რა შეუძლია — დაეხმაროს. ჩვენ ჩვენი მხრით ვგზავნი 1 მ. 50 კ.

შალვა და მიხაკო ინასარიძეები.

რეპუზიები



ღარბის




ს მ



გ ა მ ო ც ა ნ ა

მივნით გული—გურგუძალი, ვარედ კანი ატფანის; მას რომ ჯარო ასხდა, მეომარი ათასის.



მე-6 №-ში მოთავსებულ გამოცემების და რეპუზიის აღსნა

1. აბრეშუპის ჭია, 2. ეალიონი, 3. კატა კნაოდა.



1/18

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“ №

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი ნაკადული გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელშეძღვანელობით.

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“, —სამკერფლოში შეკრებადა იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. ნახევარ წლით—3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მ.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.**, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7 მ.**, ნახევარი წლით **4 მ.**

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში** — ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიასში** — ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში** — თეოდოლე კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათუმში** — ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ჭანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** — ჭ. ლანჩხუთში — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ნინო გელაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში** — ივ. გომელაურთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში** — ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ქავკანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.